



არემჯი

სიასლუაბი

რიჩ მეტალს გრუპი

N 23 | ივნისი | 2016

„არემჯი გოლდის“ და „არემჯი კოპერის“ თანამშრომლები მალე განახლებული უფასო სასადილო კუჩხებით ისარგებლებენ

რამდენიმე თვეა „არემჯის“ ხელმძღვანელობა აქტიურად მუშაობს კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის გაუმჯობესებული სასადილო პირობების შექმნაზე.

კვების მომწოდებელი კომპანიის შესარჩევად გამოცხადებულია ტენდერი. გამარჯვებული კომპანიის გამოვლენის შემდეგ „არემჯის“ ყველა თანამშრომლისთვის სადილი უფასო იქნება.

პარალელურ რეჟიმში, არსებულ 4 საკვებ პუნქტში ტარდება სარემონტო სამუშაოები, მე-5 დამატებითი საკვები პუნქტის მშენებლობა კი ახლა მიმდინარეობს.

კომერციული სამსახურის ინფორმაციით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამზარეულოს სპეციალური ტექნიკისა და აღჭურვილობის შეძენა. განახლებული კვების ობიექტები 24-საათიან რეჟიმში იმუშავებენ.

კომპანია „არემჯი“ ზრუნავს თავის თანამშრომლებზე და აგრძელებს ყველა იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც აღებული აქვს მათ წინაშე.



ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე „არემჯიმ“ პაზრათელ და ბალიჭალ ბავშვებთან ერთად აღნიშნა

კომპანია „არემჯიმ“ არც წელს დაარღვია ტრადიცია და 1 ივნისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, დაბა კაზრეთის და სოფელ ბალიჭის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს საჩუქრებითა და სიურპრიზებით მიულოცა.

წლევიანდელი დღესასწაულის გასალამაზებლად კომპანიამ ორივე საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე ფერადი ატრაქციონები დაამონტაჟა, რამაც ბავშვების დიდი სიხარული გამოიწვია. კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენლებმა ორივე ბაღის 320-მდე აღსაზრდელს საჩუქრად „ბარამბოს“ ტკბილეული და ფერადი ბუშტები გადასცეს.



ელოდებიან ხოლმე 1 ივნისს, რადგან იცინან, რომ სიურპრიზები ელოდებათ. წლევიანდელი საჩუქარი მართლაც ძალიან სასიამოვნო გამოდგა. ჩვენს ეზოში ამ დრომდე არ გვქონდა ასეთი გასართობი საშუალებები, ამიტომ ძალიან გახარებულები ვართ.“

ნინო ჯაჭანიძე (ბალიჭის საბავშვო ბაღის მენეჯერი)- „დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კომპანიას. ის უკვე მესამე წელია, ლამაზი საჩუქრებით და გასართობი ღონისძიებებით ანებივრებს ჩვენს პატარებს.“

დარეჯან ავეჯოფაშვილი (მშობელი)- „ძალიან ლამაზი დღე გვაჩუქა და მოგვიწყო „არემჯიმ“, რისთვისაც, როგორც მშობელმა და ბაღის თანამშრომელმა, მინდა მადლობა ვუთხრა. კომპანიამ წინა წლებშიც ბევრი რამ გაგვიკეთა და წელსაც გაახარა ჩვენი პატარები ტკბილეულითა და ეზოში მოწყობილი ატრაქციონებით.“



ნატალი ნოზაძე („არემჯიმ“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი)- „ყოველ წელს კაზრეთის და ბალიჭის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებისათვის ვაწყობთ ძალიან ლამაზ ზემს, რომელიც ბავშვებს საუკეთესო განწყობას უქმნის. წელს გადავწყვიტეთ ბავშვების დიდი ხნის სურვილი აგვესრულებინა და ბაღების ტერიტორიაზე მათთვის გასართობი ზონები მოვანყეთ. იმისათვის, რომ ატრაქციონებით სარგებლობა დაბაში მცხოვრებმა ყველა ბავშვმა შეძლოს, ბაღების გარდა ატრაქციონები დასასვენებელ პარკშიც დამონტაჟდა.“

ჯილდა ჯინჭარაძე (დაბა კაზრეთის საბავშვო ბაღის მენეჯერი)- „კომპანია „არემჯიმ“ ამ დღეს ყოველთვის გვსტუმრობს, ეს უკვე ტრადიციად არის ქცეული. ბავშვები განსაკუთრებულად



„არემჯიმ“ ანსამბლ „მადნეულის“ სარეკლამო დარბაზს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარა



ლელა დევნობაშვილი (ბოლნისის მუნიციპალიტეტის კულტურის საკლუბო-საბიბლიოთეკო-სამუზეუმო გაერთიანების დირექტორის მოადგილე)- „მადლობა „არემჯის“ ბავშვების გახარებულ სახეებს რომ ვუყურებთ, ვხვდებით, რომ ეს ქველმოქმედება ამაღ ღირდა. იმედი გვაქვს, რომ კომპანიასთან მომავალშიც გვექნება ხშირი და წარმატებული თანამშრომლობა.“

ნატალი ნოზაძე („არემჯის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის

სამსახურის წარმომადგენელი) -

„ყოველთვის დაფინანსების გარდა, ანსამბლმა მოგვმართა თხოვნით სარეკლამო დარბაზის გარემონტების თაობაზე. ძალიან გვიხარია, რომ დღეს ვესწრებით პირველ რეკლამაციას განახლებულ და გალამაზებულ დარბაზში. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში ანსამბლი არაერთ წარმატებას მიაღწევს და ასახელებს რეგიონს.“

„არემჯიმ“ 1 ივნისი განსაკუთრებით მიულოცა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მადნეულს“, რომელსაც კომპანია უკვე 2 წელია აფინანსებს. კომპანიის ფინანსური მხარდაჭერით გარემონტდა და კეთილმოეწყო დაბა კაზრეთის №2 საჯარო სკოლის დარბაზი, სადაც ანსამბლი „მადნეული“ ყოველდღიურად გადის რეპეტიციებს. 150მ² ფართობის დარბაზში დაიგო ახალი ხის იატაკი, შეიღება კედლები, დამონტაჟდა ახალი ელექტროგაყვანილობა, მოეწყო გასახდელი ოთახი.

ციური პაპიაშვილი (ანსამბლ „მადნეულის“ ხელმძღვანელი)- „38 წლის მანძილზე ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ასეთ ხელშეწყობას და ყურადღებას ვგრძობთ კომპანიის მხრიდან. მათ მოგვიწესრიგეს იატაკი, რომელიც მუდმივ პრობლემას წარმოადგენდა რეპეტიციების დროს. ბავშვებს ასეთ კარგ გარემოში გაცვლიებით მეტი სტიმული აქვთ წარმატების მისაღწევად.“



სავარჯიშო ბალიშები და ბურთები კაზრეთის „ყოჩებს“

„არემჯიმ“ კაზრეთის რაგბის გუნდ „ყოჩებს“ საჩუქრად სავარჯიშო ბალიშები და ბურთები გადასცა. კომპანიამ ყოველთვიურ დაფინანსებასთან ერთად მათ დამატებით საჭიროებებზე მას შემდეგ იზრუნა, რაც კაზრეთის რაგბის გუნდის მწვრთნელმა შოთა მალრაძემ აღნიშნულ სპორტულ ინვენტართან დაკავშირებით „არემჯის“ თხოვნით მიმართა.

შოთა მალრაძე (კაზრეთის „ყოჩების“ მწვრთნელი) - „არემჯიმ“ საჩუქრად ხუთი სავარჯიშო ბალიში და ექვსი ბურთი შეგვიძინა, რაც ყოველდღიური ვარჯიშებისთვის გვესაჭიროებოდა. ეს ბალიშები სანაკრებოდაც გამოგვადგება. ბავშვებმა გამოასწორეს დაჯახება, შერკინება და ეს მათ თამაშზეც აისახა - თბილისის „ჯიქები“ ჩვენს სტადიონზე 26:5 დავამარცხეთ. ამ წელს პირველად დავინწყეთ თამაში საქართველოს B ლიგაში, უკვე მეხუთე ადგილზე ვართ და გვინდა, რომ კიდევ უფრო

მეტად გავაუმჯობესოთ ჩვენი შედეგები. სექტემბერში იწყება სანაკრებო შეკრება და გვაქვს იმედი, რომ რამდენიმე სპორტსმენს გამოიძახებენ. ასეთი სავარჯიშო ბალიშები ბევრ გუნდს არ აქვს, კაზრეთელი მორაგბეები კი „არემჯის“ დამსახურებით ამით ვარჯიშობენ!”



„არემჯის“ მხარდაჭერა კაზრეთელ სპორტსმენებს

„არემჯი“ აგრძელებს კაზრეთის სპორტული გუნდების დაფინანსებას და მხარდაჭერას. კომპანიისთვის სასიხარულოა, რომ საპასუხოდ საფეხბურთო, რაგბის და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდები ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით დიდ წარმატებას აღწევენ.



კაზრეთის რაგბის გუნდი „ყოჩები“ წელს პირველად და საკმაოდ წარმატებულად ასპარეზობს საქართველოს B ლიგაში და ინარჩუნებს წამყვან პოზიციას. კაზრეთელ მორაგბეებს იმედი აქვთ, რომ სექტემბრის თვის სანაკრებო შეკრებაზეც მიიღებენ მონაწილეობას. ასევე, წარმატებული წელი ჰქონდა კაზრეთის საფეხბურთო გუნდს. 2002-2003 წლებში დაბადებული ფეხბურთელები თბილისის მერიის თასის მესამე საპრიზო ადგილს დაეუფლნენ. ქვემო ქართლის ჩემპიონატში კი ამ წლის სეზონზე 2004-2006 წლებში დაბადებულმა სპორტსმენებმა მეორე ადგილი დაიკავეს. დიდ წარმატებას აღწევს კაზრეთის თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა გუნდიც. სატურნირო სეზონის მანძილზე, საერთაშორისო თუ რეგიონალურ ჩემპიონატებში, კაზრეთელი მოჭიდავეები ხშირად ზეიმობენ ჩემპიონობასა და სხვადასხვა საპრიზო ადგილზე გასვლას. რამდენიმე მოჭიდავე უკვე ქვეყნის ნაკრებში ირიცხება. მათი ერთ-ერთი ბოლო მიღწევა 17-19 ივნისს ბაქოში

ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე მოპოვებული გამარჯვებაა. თურქეთის, რუსეთის, ისრაელის, პოლონეთის, მაკედონიისა და თავად მასპინძელი ქვეყნის წარმომადგენლებს შორის კაზრეთელმა დავით ურუმაშვილმა 63 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ხოლო ბაჩუკი ავალიშვილი (46კგ.) მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა. „არემჯი“ კიდევ ერთხელ ულოცავს კაზრეთის სპორტულ გუნდებს მიღწეულ წარმატებას და კიდევ უფრო მეტ გამარჯვებას უსურვებს მათ!

